186
1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი — დეკემბერი

1968 წ.

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1968 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

93. რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

94. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების და „სოფლის მეურნეობის პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.

95. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1968 წლის 18 სექტემბრის № 742 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

96. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს სისტემის საგაზო მეურნეობის სახელმწიფო ორგანიზაციებში სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების გამოყენების თავისებურებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

97. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სახელობითი სტიპენდიების დაწესების შესახებ.

98. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ოთარ დავითის ძე ონიაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

99. საქართველოს სს რესპუბლიკაში ტუნგოს ნაყოფის და ტუნგოს ზეთის წარმოების გადიდების შესახებ.

100. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

101. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.

102. საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმების შემუშავების შესახებ.

103. საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის სახელობის სტიპენდიების დაწესების შესახებ.

104. ქ. ბათუმში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალის შექმნის შესახებ.

105. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 სექტემბრის № 741 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ.

106. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 აგვისტოს № 587დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ.

107. ქ. თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრისათვის, ქარხანა „ელექტროგამშვებისა“ და 77-ე საშუალო სკოლისათვის ლენინური კომკავშირის სახელის მიკუთვნების შესახებ.

108. საქართველოს სს რესპუბლიკაში დამტკიცებული მძიმე მრეწველობის პროდუქციის საბითუმო ფასების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ.

109. ქ. თბილისში თვითნებურად აგებულ საცხოვრებელ სახლებში მოქალაქეთა გასაწერად დროებითი საბინაო დავთრების გაცემის შესახებ.

110. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 იანვრის № 12 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

111. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 სექტემბრის № 779 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

112. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 ივლისის № 523 დადგენილების მე-3 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

113. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

114. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული გამოყენებითი მათემატიკისა და პროგრამების საპრობლემო სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტად გარდაქმნის შესახებ.

115. თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის სამმართველოს წესდების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

93 რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 ოქტომბრის № 826 დადგენილებისა „ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო-რესპუბლიკური კომიტეტი საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ბაზაზე.

შეიქმნას აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის შესაბამისი საბჭოების ბაზაზე.

დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელობა რესპუბლიკაში, მოსახლეობის ფიზიკური მომზადების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავება და განხორციელება, რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებათა გატარება და სპორტული შეჯიბრებებისადმი კონტროლი, სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის მოწყობა, ფიზკულტურული კადრების მომზადება და განაწილება, სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობის წარმოებისა და განაწილების გეგმების კოორდინაცია და სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა, საერთაშორისო სპორტული კავშირ-ურთიერთობის განხორციელება.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგია შედგება 17 კაცისაგან, საქართველოს პროფსაბჭოს მდივნის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ჩათვლით, რომლებიც კოლეგიის შემადგენლობაში შედიან თანამდებობის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

3. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებანი და ინსტრუქციები მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სავალდებულოა საქართველოს სსრ სამინისტროებისა, უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის საკითხებზე მუშაობენ.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის და მისი ადგილობრივი ორგანოების პრაქტიკული საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით. საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაში ინიციატივისა და საზოგადოებრივი საწყისების შემდგომი განვითარების საფუძველზე. ამასთან უნდა ეყრდნობოდეს ნებაყოფლობითს სპორტულ საზოგადოებებს. ფართო საზოგადოებრივ აქტივს, რომელიც გაერთიანებულია ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებთან არსებული ფიზიკური აღზრდის საბჭოებად, ფედერაციას სპორტის სახეობათა მიხედვით, მწვრთნელთა საბჭოებს, სპორტული მსაჯების კოლეგიებს, საპრობლემო კომისიებს.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს:

ა) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი რესპუბლიკური კომიტეტის სტრუქტურისა და აპარატის შტატის შესახებ;

ბ) წარმოადგინოს საქართველოს პროფსაბჭოსთან და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად კომიტეტის დებულების პროექტი, შეთანხმებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან.

6. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების აპარატის შენახვა ხდება რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახ ასიგნებათა ხარჯზე.

შენარჩუნებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისათვის საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირისათვის დადგენილი წესი სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა და ფიზკულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებისა სპორტული და სხვა ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებული საკუთარი შემოსავლის, სამრეწველო საწარმოებისა და სხვა სამეურნეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციების დაგროვების ხარჯზე, აგრეთვე მოქმედი წესი საშემოსავლო
გადასახადის შეტანისა ბიუჯეტში საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო
საქმიანობისაგან მიღებული მოგებიდან.

7. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანოს საჭირო ცვლილებანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახი ხარჯების ლიმიტში იმ ასიგნებათა ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია ბიუჯეტით საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა გაუქმებული რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული კავშირების აპარატის შესანახად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და ავტონომიური ოლქის აღმასკომთან, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების შექმნა განხორციელდეს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის იმ ორგანოების მუშაკთა რაოდენობისა და შესანახ ასიგნებათა ფარგლებში, რომლებიც ბიუჯეტზე იმყოფებიან.

8. გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სისტემას საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციებისათვის 1968 წლისთვის დამტკიცებული შტატები, ხელფასისა და თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატების ფონდები, ასიგნებანი, წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმები, აგრეთვე უსასყიდლოდ, ამ კავშირის კუთვნილი მატერიალურ-ქონებრივი ფასეულობანი, მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი, საწარმოები და დაწესებულებანი.

დაევალოთ საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, აგრეთვე საქართველოს კპ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობის ორგანოების რეორგანიზაციასთან, რაც ამ დადგენილების შესაბამისად ტარდება.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა განიხილოს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს კომიტეტის ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების 1968 წლის ხარჯთაღრიცხვა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მუავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 12 ნოემბერი, № 569.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

94 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების და „სოფლის მეურნეობის პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

ითვალისწინებენ რა საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებს შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმატებით გადაზიდვისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების დადებითს გამოცდილებას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 7 წითელი დროშა ფულადი პრემიებით თვითეული 300 მანეთის ოდენობით მოწინავე ავტოსატრანსპორტო კანტორების, ავტოკოლონებისა და სხვა ავტოსატრანსპორტო ქვედანაყოფების კოლექტივებისათვის გადასაცემად, რომლებმაც მიაღწიეს საავტომობილო ტრანსპორტის რაციონალურად გამოყენებას და სასოფლო-სამეურნეო ტვირთების დროულად გამოზიდვას.

2. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების შესახებ ავტოსატრანსპორტო კანტორების, ავტოკოლონებისა და სხვა ავტოსატრანსპორტო ქვედანაყოფების კოლექტივების წასახალისებლად, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოზიდვაში, და დებულება „სოფლის მეურნეობის პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდების შესახებ.

3. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წითელი დროშების და „სოფლის მეურნეობის პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდების მინიჭება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სიგელის მიცემა დაეკისროს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიას და საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს.

4. დაწესდეს, რომ ფულადი პრემიების მიცემა ავტოსატრანსპორტო კანტორებს, ავტოკოლონებისა და სხვა ავტოსატრანსპორტო ქვედანაყოფების კოლექტივებისათვის, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოზიდვაში, წარმოებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დაჯილდოების ფონდის სახსრების ხარჯზე.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების და სიგელების დამზადებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა დაეკისროს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
შ. კიკნაძე.

ქ. თბილისი, 1968 წ. 5 ნოემბერი, № 563.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბ-
ჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 5 ნოემბრის № 563
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების შესახებ ავტოსატრანსპორტო კანტორების, ავტოკოლონებისა და სხვა ავტოსატრანსპორტო ქვედანაყოფების კოლექტივების წასახალისებლად, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოზიდვაში

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები მიენიჭებათ ავტოსატრანსპორტო კანტორების, ავტოკოლონების და სხვა ავტოსატრანსპორტო ქვედანაყოფების კოლექტივებს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ბოსტნეულის, მარცვლის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის, კურკოვანი, თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის, კარტოფილის აღებაზე ერთი თვის მუშაობის შედეგების მიხედვით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მინიჭება ფულადი პრემიის მიცემით წარმოებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, რომელთა წარმომადგენლებიც გადასცემენ ამ დროშას.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ მოწინავე ავტოსატრანსპორტო კანტორების, ავტოკოლონებისა და სხვა ავტოსატრანსპორტო ქვედანაყოფების კოლექტივებს, რომლებმაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოზიდვისას საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ისეთ ღონისძიებათა გატარებაში, როგორიცაა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთზიდვის მოცემული მოცულობის შესრულება, თუ მიღწეულია რეხინის, საწვავისა და საცხები მასალის მომჭირნეობა;

შრომის ნაყოფიერების ამაღლება, ავტოპარკის მაქსიმალურად გამოყენება და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების დროს ავტოტრანსპორტის გაცდენის შემცირება;

ისეთი შემთხვევების აღკვეთა, როდესაც მოსავლის ასაღებად და გამოსაზიდად გამოყოფილ ავტოტრანსპორტს სხვა ტვირთის გადასაზიდად იყენებენ;

უავარიო მუშაობის უზრუნველყოფა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისა და შრომის დისციპლინის დარღვევების უქონლობა სოფლის მეურნეობის ტვირთის გადაზიდვის დროს;

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სრული რაოდენობრივი და ხარისხობრივი შენარჩუნების უზრუნველყოფა მათი ტრანსპორტირების დროს.

4. შედეგების შეჯამებისას მხედველობაში ჰიიღება აგრეთვე მძღოლებისათვის შექმნილი საყოფაცხოვრებო პირობები: დონე (ღამის გათევა, კვება, კულტურულ-მასობრივი მუშაობა).

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბ-
ჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 5 ნოემბრის № 563
დადგენილებით

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

„სოფლის მეურნეობის პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდების შესახებ

1. „სოფლის მეურნეობის პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდების მინიჭება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სიგელის მიცემით, წარმოებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიის და საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სიგელებს გადასცემენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენლები.

3. „სოფლის მეურნეობის პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სიგელის გადაცემით, მიენიჭებათ საავტომობილო ტრანსპორტის მოწინავე მძღოლებს, ავტოსატრანსპორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო კანტორების, ავტოკოლონებისა და სხვა ავტოსატრანსპორტო ქვედანაყოფების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც უმაღლეს მაჩვენებლებს მიაღწიეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის, თესლოვანი, კურკოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის აღების მთელი სეზონის განმავლობაში, როდესაც:

მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა ყველა მაჩვენებლის მიხედვით სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოზიდვის საწარმოო დავალებანი;

შესრულებულია გარბენის კოეფიციენტების გამოყენების გეგმიანი დავალებანი;

მაქსიმალურად ათვისებულია სატრანსპორტო საშუალებათა ტვირთამწეობა მისაბმელებისა და ავტომატარებლების გამოყენებით, სადაც ეს შესაძლებელია;

უზრუნველყოფილია დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების დროს საავტომობილო ტრანსპორტის გაცდენის მაქსიმალური შემცირება და დაცულია ტვირთზიდვის დაწესებული გრაფიკი;

მიღებულია ბენზინის, რეზინისა და სარემონტო საშუალებათა ეკონომია;

არ ყოფილა დაშვებული ტვირთის დანაკარგი და მისი ხარისხის გაუარესება გადაზიდვის დროს, ადგილი არ ჰქონია საწარმოო და სატრანსპორტო დისციპლინის დარღვევებს, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებსა და ავარიებს;

უზრუნველყოფილია ჩაბარებული ტექნიკის დაცვა-შენახვა;

გამოჩენილია ინიციატივა მიმართულებათა სწორად ამორჩევაში და შემცირებულია მანძილი იქეთ და აქეთ მგზავრობის დროს.

95 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1968 წლის 18 სექტემბრის № 742 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1968 წლის 18 სექტემბრის № 742 დადგენილებისა „იმის შესახებ, რომ გაუქმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებანი იმის გამო, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ 1966 წლის 22 იანვარს მიიღეს დადგენილება № 52 „მრეწველობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 ივლისის № 1043 **განკარგულება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 20 მარტის № 143 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ"

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **შ. ქიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 25 ნოემბერი, № 598.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

96 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს სისტემის საგაზო მეურნეობის სახელმწიფო ორგანიზაციებში სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების გამოყენების თავისებურებათა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 28 სექტემბრის № 870 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს სისტემის საგაზო მეურნეობის ორგანიზაციებში, რომლებიც იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე და თვიანთი დებულების თანახმად წარმოადგენენ იურიდიულ პირებს (საწარმოო სამმართველოები, ტრესტები, საქალაქო და სარაიონთაშორისო საექსპლუატაციო-სამონტაჟო კანტორები, გაზდამრიგებელი სადგურები), დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ გამოიყენება შემდეგ თავისებურებათა გათვალისწინებით:

ა) ძირითადი ფონდების კაპიტალურ მშენებლობას და რეკონსტრუქციას. რაც ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ხორციელდება, ეწევიან საწარმოო სამმართველოები, ტრესტები, საქალაქო და სარაიონთაშორისო საექსპლუატაციო-სამონტაჟო კანტორები და გაზდამრიგებელი სადგურები, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უშუალო გამგებლობაში; ამ სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო სახსრებს გამოყოფს საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-

ჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო, ხოლო ქ. თბილისში — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი;

ბ) მორალურად მოძველებული, გაცვეთილი და შემდგომ გამოსაყენებლად გამოუსადეგარი სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობის ჩამოწერას, რომელთა ერთეულის ღირებულება ათას მანეთს აღემატება, ეწევიან საწარმოო სამმართველოები, ტრესტები, საქალაქო და სარაიონთაშორისო საექსპლუატაციო-სამონტაჟო კანტორები და გაზდამრიგებელი სადგურები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს ნებართვით;

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს სისტემის საგაზო მეურნეობის ყველა ორგანიზაცია გამოიყენებს თავის უფლებებს შრომისა და ხელფასის დარგში, რომლებიც გათვალისწინებულია სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების 81 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გაზიფიკაციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით;

დ) საგაზო მეურნეობის ყველა ორგანიზაციას, რომლებსაც ხელფასის გასაცემი სახსრები ეძლევათ მათთვის დაწესებული ხელფასის კვარტალური ფონდების ფარგლებში, შეუძლია გამოიყენოს ხელფასის ფონდის ეკონომია, რაც მიღებულია წინა კვარტალებში, ხელფასის გასაცემად იმავე წლის შემდგომ კვარტალებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 5 ნოემბერი, № 557.

97 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სახელობითი სტიპენდიების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ქართული საბჭოთა მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურების აღსანიშნავად დაწესდეს:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში: იოსებ ალექსანდრეს ძე ყიფშიძის, გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის, ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილის, ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილის და გიორგი ნიკოლოზის ძე ნიკოლაძის სახელობის თითო სტიპენდია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: ნიკოლოზ ვასილის ძე ქაშაკაშვილისა და გიორგი ნიკოლოზის ძე ნიკოლაძის სახელობის თითო სტიპენდია.

თვითეული სტიპენდიის ოდენობა განისაზღვროს 50 მანეთით, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 5 ნოემბერი, № 560.

98 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ოთარ დავითის ძე ონიაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ოთარ დავითის ძე ონიაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ო. დ. ონიაშვილის სახელობის ერთი სტიპენდია 50 მანეთის ოდენობით, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე.

2. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიაკუთვნოს ო. დ. ონიაშვილის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ:
დადგას ო. დ. ონიაშვილის საფლავზე განსვენებულის ბიუსტი.
გამოსცეს ო. დ. ონიაშვილის რჩეული შრომები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 5 ნოემბერი, № 561.

ეროვნული ბიბლიოთეკა

99 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ტუნგოს ნაყოფის და ტუნგოს ზეთის წარმოების გადიდების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ვინაიდან რაიონულმ. საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასუსტეს ყურადღება ტუნგოს კულტურისადმი, ტუნგოს ნარგავების ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო დარჩენილი ნარგავების ერთი ნაწილი მოუვლელ მდგომარეობაშია.

ტუნგოს ნაყოფისა და ტუნგოს ზეთის წარმოების გადიდების მიზნით და შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 აგვისტოს № 653 დადგენილებისა „ტუნგოს ზეთის წარმოების გადიდების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ცხაკაიას, ხობის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, ამავე რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქეთერცხიმ-ზეთს:“

ა) შეამოწმონ ტუნგოს ნარგავების მდგომარეობა თვითეულ მეურნეობაში, უზრუნველყონ 1968-1969 წლებში არსებული ტუნგოს ნარგავების მოყვანა სრულ წესრიგზე, გასცენ ამისათვის საჭირო რაოდენობის მინერალური სასუქები და მექანიზმები;

ბ) ურჩიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გაითვალისწინონ სოფლის მეურნეობის განვითარების 1970-1975 წლების გეგმებით ტუნგოს ახალი პლანტაციების გაშენება ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებისა და მეურნეობების შესაძლებლობათა გათვალისწინებით;

გ) ტუნგოს ახალი პლანტაციების გაშენების განსახორციელებლად მოაწყონ ხარისხოვანი ნერგის გამოყვანა და გამოიყენონ ამისათვის ტუნგოს აპრობირებული სადედე ხეების თესლი.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოამზადოს. ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს 1969 წელს ტუნგოს კულტურის მოყვანის აგროწესები და პლაკატები.

3. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ სათანადო მდგომარეობაში მოიყვანოს ტუნგოს საშრობი ფარდულები და ტუნგოს მიმღები პუნქტები და უზრუნველყოს ტუნგოს ნაყოფის შეუფერხებლივ მიღება; გამოსცეს მასობრივი ტირაჟით ტუნგოს ნაყოფის მიღების წესები.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჭიროების შემთხვევაში წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ტუნგოს სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების მოწყობის შესახებ.

5. მიღებულ იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ:

ა) დააწესა, 1968 წლის მოსავლიდან დაწყებული, ტუნგოს ნედლი ნაყოფის შესასყიდი ფასები კილოგრამი 45 კაპიკის რაოდენობით;

ბ) ნება დაერთო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ის ხარჯები, რაც დაკავშირებულია ხისა და ჯაგნარისაგან მთების ფერდობებზე ტერიტორიის განთავისუფლებასთან კოლმეურნეობებში ტუნგოს პლანტაციების გასაშენებლად, — გასწიოს სახელმწიფო ბიუჯეტის იმ სახსრების ანგარიშში, რომლებიც გამოიყოფა ოპერაციული ხარჯებისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმებით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად;

გ) დაავალა სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს შეიმუშაოს 1969-1970 წლებში ტუნგოს საწმენდი მანქანის კონსტრუქცია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროტექნიკური მოთხოვნების მიხედვით.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს და გეგეჭკორის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის მოსავლის შედეგების მიხედვით ანგარიში იმ ღონისძიებათა შედეგების შესახებ, რომელთა მიზანია ტუნგოს ნარგავების წესრიგზე მოყვანა და მათი მოსავლიანობის ამაღლება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 6 ნოემბერი, № 566.

ეროვნული ბიბლიოთეკა

100 საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 15 ნოემბერი, № 572.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1968 წლის
15 ნოემბრის № 572 დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსაც.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო განახორციელებს რესპუბლიკის მეღვინეობის, სპირტის, ლიქიორ-არყის, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლების, პურფუნთუშეულის, მაკარონის. საკონდიტრო, თამბაქოს, ჩაის, ეთერზეთოვანი და ცხიმზეთის მრეწველობის ხელმძღვანელობას.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ეკისრება პასუხისმგებლობა რესპუბლიკის კვების მრეწველობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, წარმოების ტექნიკური დონის ზრდისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხისათვის, ამ პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება კვების მრეწველობის ყველა სახეობის პროდუქციაზე.

2. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მთავარ ამოცანებს წარმოადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რესპუბლიკის კვების მრეწველობის, როგორც მისი სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, ყოველმხრივ განვითარება, წარმოების განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალი ტემპები სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება კვების მრეწველობის პროდუქციაზე;

— სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულება და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის უზრუნველყოფა;

— მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და საფინანსო რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

— ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარება დარგში, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვა და წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების უზრუნველყოფა;

— კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურად გამოყენება და მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულების და მისი ვადების შემცირება. საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროზე გადაცემა საექსპლოატაციოდ და მოკლე ვადებში ათვისება;

— შრომის და მმართველობის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, პირობების შექმნა მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების უკეთ გამოყენებისათვის, ისეთ ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მუშაობაში;

— სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა წარმოებაში.

3. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეკონომიური და ადმინისტრაციული მეთოდების სწორად შეხამებას, ისეთი ეკონომიური ბერკეტების უფრო სრულად გამოყენებას, როგორიცაა მოგება, ფასი, პრემია და კრედიტი, მმართველობის ეფექტიანი სისტემების დანერგვას ელექტრონულ გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით, მმართველობის სტრუქტურისა და ორგანიზაციული ფორმების სრულყოფას.

4. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო უზრუნველყოფს ხელმძღვანელი, სამეურნეო, ინჟინერთა კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და განაწილების ლენინური პრინციპების განხორციელებას; მთავარ ყურადღებას მიაქცევს იმისადმი კონტროლს, რომ ხელმძღვანელმა კადრებმა შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დირექტივები და გადაწყვეტილებანი; საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით აღზრდის კადრებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, სახელმწიფო ინტერესებისა და დისციპლინის მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, მიიღებს ზომებს მატერიალური და მორა-

მუხ. 100
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლური სტიმულების სწორად შეხამებისათვის, რათა მოხდეს საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობა და გაძლიერდეს თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მისთვის დავალებული საქმისა და კოლექტივის მუშაობის საერთო შედეგებისათვის.

5. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო ხელმძღვანელობს და განაგებს კვების მრეწველობას, როგორც წესი, დარგობრივი ტრესტების მეშვეობით.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო, მისი ქვესაუწყებო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები შეადგენენ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემას.

6. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო გადაწყვეტს ყველა საკითხს მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში და შეუძლია მიანდოს მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა ქვესაუწყებო ტრესტებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო მოვალეა მტკიცედ დაიცვას თავისი სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით და სხვა აქტებით და ყოველნაირად შეუწყოს ხელი მათი სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის განვითარებას.

თავის საქმიანობაში საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო განახორციელებს კონტაქტებს და საქმიან თანამშრომლობას სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან დარგთშორისი საკითხების შემუშავებასა და გადაწყვეტაში.

7. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო, წარმოადგენს რა წამყვანს რესპუბლიკის კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოებაში, მონაწილეობას იღებს იმ საწარმოების მიერ წარმოების განვითარების დაგეგმვაში, კვების მრეწველობის პროდუქციის გამოშვებაში, რომლებიც მის სისტემაში არ შედიან, და შეიმუშავებს აღნიშნული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

8. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებითა და საინსტრუქციო წერილებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო განაზოგადებს საქართველოს სსრ კვების მრეწველობაში კანონმდებლობის შეფარდების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და განსახილველად წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს.

9. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო უზრუნველყოფს სოციალისტური სახელმწიფო საკუთრების დაცვას და მისდამი დამზოგველურ დამოკიდებულებას თავისი სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

10. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო უზრუნველყოფს დემოკრატიული საწყისების განვითარებას მმართველობაში, შექმნის პირობებს იმისათვის, რომ მშრომელებმა და მათმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამოიჩინონ ინიციატივა და მიიღონ აქტიური მონაწილეობა მუშაობაში წარმოების სრულყოფისა და იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რომლებსაც ადგილი აქვს სამინისტროს და მისი ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში.

მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების საკითხებს გადაწყვეტს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ამ ორგანოებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით.

11. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო შექმნის, გადააკეთებს და გააუქმებს დადგენილი წესით საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს; დაამტკიცებს საწარმოთა წესდებებს და დებულებებს (წესდებებს) სამინისტროს ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შესახებ.

12. დაგეგმვისა და წარმოების დარგში საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეისწავლის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას სასურსათო საქონელზე და განახორციელებს კვების მრეწველობის განვითარების დაგეგმვას სამინისტროს სისტემაში და ტერიტორიული მიხედვით ჩვენი ქვეყნის, საქართველოს სსრ და ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანების შესაბამისად, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გათვალისწინებით; შეიმუშავებს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის განვითარებისა და განლაგების სქემებს;

ბ) უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას და აღდგენას, ამასთან მათი ექსპლოატაციის დროს გაითვალისწინებს სხვა დარგების და მთლიანად სახალხო მეურნეობის ინტერესებს, განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰაერის, ნიადაგისა და წყალსატევების დაცვას სამრეწველო და სამეურნეო გადანაყარებით, ჩამდინარე წყლებით, რადიაქტიური ნივთიერებებითა და წარმოების ნარჩენებით გაბინძურებისაგან, მცენარეულისა და ცხოველთა სამყაროს დაცვა-შენახვას;

გ) მოაწყობს მუშაობას სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შედგენისათვის;

მუზ. 100 ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) განსაზღვრავს, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრების საფუძველზე, და სამინისტროს სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს აცნობებს პერსპექტიული და წლიური გეგმების საკონტროლი ციფრებს.

შეიმუშავებს, სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრების და გეგმების იმ პროექტების საფუძველზე, რომლებსაც წარუდგენენ თავისი სისტემის საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, სამინისტროს სისტემის პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

განიხილავს ტრესტების მონაწილეობით და დაუმტკიცებს მათ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებების შესაბამისად, ამასთან უზრუნველყოფს ამ გეგმების ყველა განაყოფისა და მაჩვენებლის შეთანხმებას;

ე) საჭიროების შემთხვევაში შეცვლის დადგენილი წესით რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში წარმოების, კაპიტალური მშენებლობის და სხვა მაჩვენებლების დავალებებს სამინისტროსათვის დაწესებულ გეგმიან დავალებათა ფარგლებში;

ვ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია სამინისტროს სისტემის საწარმოების მიერ იმ პროდუქციის რეალიზაციასთან, რასაც ისინი აწარმოებენ.

განსაზღვრავს, დაინტერესებული ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით, სამინისტროს სისტემის საწარმოების მიერ ისეთი ნომენკლატურის პროდუქციის წარმოების მოცულობას, რომელიც არ არის გათვალისწინებული სახალხო-სამეურნეო გეგმით.

მიიღებს ზომებს სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის განვითარებისათვის;

ზ) უზრუნველყოფს დაწესებული გეგმების შესრულებას სამინისტროს სისტემის ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მიერ;

თ) შეიმუშავებს და დადგენილი წესით დაამტკიცებს ტექნიკურ-ეკონომიურ ნორმატივებს, ნედლეულის, სათბობის, მასალების ხარჯვისა და მარაგის ნორმებს, საწარმოო და საექსპლოატაციო საჭიროებისათვის ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებს; უზრუნველყოფს დამტკიცებული ნორმატივებისა და ნორმების დანერგვას;

ი) დაამტკიცებს, ან დასამტკიცებლად წარადგენს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების პროდუქციისა და მომსახურების ფასებსა და ტარიფებს; კონტროლს გაუწევს სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ფასებისა და ტარიფების სწორად გამოყენებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ) მოაწყობს პირველადს აღრიცხვას საწარმოებში, სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მიიღებს დადგენილი წესით სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშებს, განახორციელებს ღონისძიებებს საღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაციისა და აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის;

ლ) შეიმუშავებს და განახორციელებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებთან ერთად, ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ნედლეულის ბაზის შექმნასა და განვითარებას სამინისტროს სისტემის საწარმოებისათვის;

მ) მონაწილეობს დადგენილი წესით სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გამოცდასა და იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც დაკავშირებულია ვაზისა და ხეხილის ბოსტნეულის, ტექნიკური და კვების მრეწველობის საწარმოების მიერ გამოყენებული სხვა კულტურების სასოფლო-სამეურნეო ჯიშების დარაიონებასთან და ტექნოლოგიურ შეფასებასთან, აგრეთვე ამ კულტურათა ნათესების განლაგებასთან;

ნ) მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შემუშავებაში, მოაწყობს ცალკეული სახის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამზადებას სამინისტროს საწარმოებისათვის;

ო) შეიმუშავებს და დადგენილი წესით წარადგენს დასამტკიცებლად კვების მრეწველობის ნედლეულისა და პროდუქციის განაწილების ბალანსებსა და გეგმებს; უზრუნველყოფს გამოყოფილი ფონდების შესაბამისად, განაწილების ბალანსებსა და გეგმებში შეტანილი ნედლეულისა და პროდუქციის მიწოდებას;

პ) მოაწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ცალკეულ სახეობათა წარმოებას სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში კვების მრეწველობის საწარმოების მიერ გადასამუშავებლად და ახალი სახით მისაწოდებლად;

ჟ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში;

რ) განახორციელებს კონტროლს პროდუქციის ხარისხისადმი და დაიცავს სანიტარულ რეჟიმს სამინისტროს სისტემის საწარმოებში; პროდუქციის ხარისხისადმი მოთხოვნების დარღვევის ან სანიტარული რეჟიმის დაუცველობის დროს შეაჩერებს პროდუქციის წარმოებას და მის გაგზავნას სავაჭრო ორგანიზაციებისათვის;

ს) უზრუნველყოფს ისეთი საექსპორტო პროდუქციის წარმოების დავალებათა შესრულებას, რომელიც აკმაყოფილებს საგარეო ბაზრის მოთხოვნებს, მიიღებს ზომებს საექსპორტო საქონლის წარმოების გაფართოებისათვის, რომლის რეალიზაციას დიდი სავალუტო ეფექტიანობა აქვს; მონაწილეობას მიიღებს პროდუქციის ექსპორტის საკითხებზე ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

ტ) შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარადგენს დადგენილი წესით სამინისტროს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა ტვირთზიდვის გეგმებს, აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე მოაწყობს ამ ტვირთის გადაზიდვას სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით.

13. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში:

ა) სისტემატურ მუშაობას ეწევა წარმოების მიღწეული ტექნიკურ-ეკონომიური დონის შეფასებისა და სასურსათო საქონლის გამოშვებისათვის; განსაზღვრავს მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების უფრო ეფექტიანად გამოყენების გზებს და უზრუნველყოფს კვების მრეწველობის განვითარების მაღალ ტექნიკურ დონეს, ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების საფუძველზე;

ბ) შეიმუშავებს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებს დარგში, დაწყებული მეცნიერული ძიებით, ვიდრე მიღებული შედეგები წარმოებაში დაინერგებოდეს, აგრეთვე შეასრულებს კომპლექსური დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ სამუშაოებს;

გ) ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საქმიანობას და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია დაგეგმვის სრულყოფა, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების მოწყობა და მათი ეფექტიანობის ამაღლება;

დ) უზრუნველყოფს საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს საჭირო საწარმოო-ექსპერიმენტული ბაზით, რომელიც შეესაბამება თანამედროვე ტექნიკურ დონეს;

ე) შეიმუშავებს და წარმოებაში დანერგავს პროდუქციის ახალ სახეობებს, რომლებიც შეესაბამებიან მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს და აკმაყოფილებენ სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს, წარმოების ორგანიზაციის დიდად ეფექტიან ტექნოლოგიურ პროცესებსა და მეთოდებს, განახორციელებს ღონისძიებებს წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, უფრო ეკონომიური მასალებისა და ნედლეულის გამოყენებისათვის.

საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით გადაწყვეტს სახალხო მოხმარების ისეთი საქონლის წარმოებიდან მოხსნის საკითხებს, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნილებით არ სარგებლობს;

ვ) შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარადგენს სახელმწიფო სტანდარტების პროექტებს; უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტების, პროდუქციის ხარისხის განზომილებისა და გამოცდის თანამედროვე საშუალებებისა და მეთოდების დანერგვას, აგრეთვე კონტროლს გაუწევს სტანდარტების დაცვას და განზომილებისა და გამოცდის საშუალებათა მდგომარეობას.

დაამტკიცებს დარგობრივი მნიშვნელობის ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას პროდუქციის ცალკეული სახეობებისათვის, რომლებზედაც არ არსებობს სახელმწიფო სტანდარტები;

ზ) მოაწყობს სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას, უზრუნველყოფს დარგში სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომზადებას და გამოცემას დადგენილი წესით;

თ) ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, შეიმუშავებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიულ და მიმდინარე თემატურ გეგმებს; უზრუნველყოფს გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვას. მუშაობას გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის სამინისტრო ეწევა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად;

ი) უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის საპატენტო მასალების ფართოდ შესწავლას და გამოყენებას ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავების და არსებულის სრულყოფის დროს, უზრუნველყოფს პროდუქციის, აგრეთვე ტექნოლოგიური პროცესების პატენტუნარიანობას; უზრუნველყოფს, რომ დადგენილი წესით წარადგინონ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა განაცხადები საავტორო მოწმობის მიცემაზე სსრ კავშირში და, თუ ეს მიზანშეწონილი იქნება, — გამოგონებათა დაპატენტებაზე საზღვარგარეთ;

კ) შეიმუშავებს და დადგენილი წესით წარადგენს წინადადებებს, რომ შესყიდულ იქნას საზღვარგარეთ ლიცენზიები ტექნიკურ-ეკონომიური მხრით ყველაზე პროგრესულ მანქანებსა, მოწყობილობასა, მასალებსა და ტექნოლოგიურ პროცესებზე, უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოების უსწრაფესად ათვისებას შესყიდული ლიცენზიებით.

14. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო კაპიტალური მშენებლობის დარგში:

ა) განახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას თავის სისტემაში, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენებას, ახალი მშენებლობის რაციონალურად განლაგებას, დარგის პროგრესულ წარმოებათა უპირატესობრივ განვითარებას, კაპიტალურ დაბანდებათა პირველ რიგში წარმართვას მოქმედი საწარმოების ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, დარგთშორისი და შიგადარგობრივი პროპორციების გაუმჯობესებას, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციას საექსპლოატაციოდ გადასაცემ მშენებლობებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის შემცირებას.

კაპიტალური მშენებლობა, როგორც წესი, იჯარით წარმოებს;

ბ) შეიმუშავებს და დადგენილი წესით დაამტკიცებს მშენებლობათა სატიტულო სიებს, აგრეთვე საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს მომავალი წლების მშენებლობისათვის.

უზრუნველყოფს საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად შემუშავებას, დამტკიცებას და მშენებლობებისათვის მიცემას.

განახორციელებს კონტროლს საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხისა და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვისადმი, აგრეთვე ტექნიკურ ზედამხედველობას გაუწევს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა და იმ მოწყობილობის ხარისხს, რომელსაც მშენებარე ობიექტებისათვის აწოდებენ; მოაწყობს მშენებლობისადმი საავტორო ზედამხედველობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უზრუნველყოფს მშენებლობათა დაფინანსებას და მათ მომარაგებას ნებადართი მოწყობილობით, მასალებითა და ნაკეთობებით, რომელთა მიწოდება შემკვეთის მოვალეობას შეადგენს.

განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ ქვესაუწყებო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გაანაწილონ მოწყობილობის შეკვეთები კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი ფონდებისა და მის შესაძენ ასიგნებათა შესაბამისად.

შეიმუშავებს ღონისძიებებს მშენებლობაში შინაგანი რესურსების მობილიზაციისათვის და განახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

დ) უზრუნველყოფს საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროზე გადაცემას საექსპლოატაციოდ, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებას მოკლე ვადებში.

დანიშნავს თავისი კომპენტენციის ფარგლებში სახელმწიფო კომისიებს იმ საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მისაღებად ექსპლოატაციისათვის, რომელთა მშენებლობა დამთავრებულია, დაამტკიცებს მათი მიღების აქტებს და გამოიტანს გადაწყვეტილებებს შეჯამებითი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებების დახურვის შესახებ;

ე) მოაწყობს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, უზრუნველყოფს მოწყობილობის მოდერნიზაციას, ტექნიკური დონისა და მწარმოებლურობის ამაღლებას, აგრეთვე შენობათა და ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლოატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას; განახორციელებს ღონისძიებებს რემონტის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი გაიაფებისათვის;

ვ) ნებას დართავს ქვესაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გააერთიანონ სხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც მათ გამოეყოფათ საბინაო-კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის, ჯანმრთელობის დაცვის და განათლების ობიექტების მშენებლობისათვის.

15. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში:

ა) განსაზღვრავს სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოთხოვნილებას ნედლეულსა, სათბობსა, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ რესურსებზე; განაგებს სამინისტროსათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია აგ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის;

ბ) გაანაწილებს სამინისტროსათვის გამოყოფილი ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების ფონდებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ ტრესტებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს შორის; გადაანაწილებს საჭირო შემთხვევებში აღნიშნულ ფონდებს საწარმოო პროგრამისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების გათვალისწინებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს პროდუქციის შიგადარგობრივი კოოპერირებული მიწოდების გეგმებს იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მისი მიწოდება სხვა დარგების მომხმარებლებისათვის;

დ) განახორციელებს კონტროლს ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობის და სხვა მატერიალური რესურსების ფონდების რეალიზაციისადმი, აგრეთვე იმისადმი, რომ სამინისტროს სისტემის საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა დროზე დადონ ხელშეკრულებანი საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ, და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისადმი;

ე) უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების სწორად შენახვასა და გამოყენებას და მიიღებს ზომებს ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების რეალიზაციისათვის;

ვ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მასალების, ნედლეულისა და სათბობის მომჭირნეობით ხარჯვა, წარმოებაში დანაკარგების შემცირება, საწარმოო ნარჩენებისა და მეორადი ნედლეულისა და მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენება.

16. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო ფინანსებისა და კრედიტის დარგში:

ა) განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, რენტაბელობის ამაღლება და დაგროვების მაქსიმალურად გადიდება, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანად გამოყენება.

დადგენილი წესით დააფინანსებს თავისი სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათს საფინანსო საქმიანობას.

განახორციელებს კონტროლს სამინისტროს სისტემაში საფინანსო რესურსების გამოყენებისადმი.

ბ) უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ საფინანსო გეგმების შესრულებას, საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვა-შენახვას, ანგარიშის დროულად გასწორებას მუშამოსამსახურეებთან, ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, ბანკებთან, აგრეთვე უზრუნველყოფს იმ საკუთარი სახსრების გადარიცხვას საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური მშენებლობის და კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად და საფინანსო გეგმით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის;

გ) დადგენილი წესით შექმნის ახალი ტექნიკის ათვისების და ახალი ტექნიკის შექმნისა და დაგეგმვისათვის დაჯილდოების ფონდებს, აგრეთვე სხვა ცენტრალიზებულ ფონდებს და საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის საფინანსო დახმარების გასაწევად საჭირო რეზერვს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ბანკების დაწესებულებებთან ერთად მოაწყობს ანგარიშსწორების ისეთი ყველაზე ეკონომიური და პროგრესული ფორმების დანერგვას, რომლებიც ხელს უწყობენ გადასახდელების შეტანის, საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დაჩქარებას და საგადამხდელო დისციპლინის განმტკიცებას; მონაწილეობას მიიღებს სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ურთიერთ დავალიანების ჩათვლების ორგანიზაციისა და გატარების საქმეში;

ე) გახსნის ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშებს, რათა გადაანაწილოს საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოგება, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის შესაქმნელად საჭირო თანხები და სხვა სახსრები, აგრეთვე ცალკეულ ანგარიშებს საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის საფინანსო დახმარების გასაწევი რეზერვის სახსრების შესანახად;

ვ) შეცვლის გეგმიანი მოგების ოდენობას სამინისტროს საქმიანობის სახეობათა მიხედვით, სამეურნეო გეგმების შეცვლის შესაბამისად, იმ მოგების საერთო ოდენობის ფარგლებში, რომელიც მას დაუმტკიცდა შემოსავალ-გასავლის ბალანსით, საბიუჯეტო გადასახდელების შეუმცირებლად, რაც შემდგომ უნდა აცნობოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს;

ზ) დაამტკიცებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ტრესტების, ორგანიზაციებისა და დაწესებულების შეჯამებითს ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს შეჯამებითს ანგარიშებსა და ბალანსებს სამინისტროს საქმიანობის სახეობათა მიხედვით;

თ) მოაწყობს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას სამინისტროს სისტემაში, უზრუნველყოფს, უწყებრივი კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რევიზიების რეგულარულად ჩატარებას, ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვის შემოწმებას, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას, კონტროლს გაუწევს სამინისტროს სისტემაში აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებას, აგრეთვე განახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების მოვლა-შენახვისა და მიყენებული მატერიალური ზარალის გადახდევინებისათვის.

17. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში:

ა) უზრუნველყოფს თავისი სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მუშაკთა კვალიფიციური კადრებით, მოაწყობს კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას; შეისწავლის კადრებს სამინისტროს სისტემაში, უზრუნველყოფს ძველი გამოცდილი კადრებისა და ახალგაზრდა ნიჭიერი მუშაკების შეხამებას, შექმნის პირობებს პოლიტიკურად მომწიფებულ იმ სპეციალისტთა დასაწინაურებლად ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებიც კარგად არიან დაუფლებული თავიანთ საქმეს და სარგებლობენ ავტორიტეტითა და ნდობით კოლექტივში; მიიღებს ზომებს ახალგაზრდა სპეციალისტთა რაციო-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ნალურად გამოყენებისათვის და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუდმივი კადრების შექმნას სამინისტროს სისტემაში;

ბ) შეიმუშავებს ამ დარგში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სრულყოფის ძირითად მიმართულებებს და ხელმძღვანელობას გაუწევს შრომისა და მმართველობის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში; უზრუნველყოფს ისეთ ღონისძიებათა გატარებას, რომელთა მიზანია შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესება და გაჯანსაღება, უსაფრთხობის ტექნიკის წესებისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნების მტკიცედ დაცვა;

გ) შეიმუშავებს და დადგენილი წესით შემოიღებს სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში გამომუშავების (მომსახურების) ერთიან და ტიპობრივ ნორმებს და მუშაკთა რაოდენობის ნორმატივებს.

მოაწყობს პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად გამომუშავების (მომსახურების) ნორმების გადასინჯვას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებში და განახორციელებს სხვა ღონისძიებებს შრომის ნორმირების სრულყოფისათვის.

შემოიღებს პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით შრომის დაცვის დამტკიცებულ დარგობრივ ნორმებს და უსაფრთხობის ტექნიკის და საწარმოო სანიტარიის წესებს; კონტროლს გაუწევს ამ წესების დაცვას;

დ) უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების და დაჯილდოების მოქმედი პირობების სწორად გამოყენებას, სწორ თანაფარდობას შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის; განახორციელებს კონტროლს ხელფასის ფონდებისა და წახალისების ფონდების ხარჯვისადმი;

ე) დააწესებს და შეცვლის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა თანამდებობრივ განაკვეთებს თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით და ხელფასის იმ ფონდის ფარგლებში, რაც გამოანგარიშებულია საშუალო თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით;

ვ) პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად ხელმძღვანელობას გაუწევს კოლექტიური ხელშეკრულებების დადებას და განახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

ზ) პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მონაწილეობით უზრუნველყოფს თავისი სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარებას;

თ) მოაწყობს პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას, დაამტკიცებს სამინისტროს სისტემაში რესპუბლიკური შეჯიბრების პირობებს, დააწესებს დადგენილი წესით გარდამავალ წითელ დროშებს ფულადი პრემიებით, ხელს შეუწყობს კომუნისტური შრომისათვის, წარმოების მაღალი კულტურისათვის მოძრაობის გაშლას.

პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად შეაჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, წარადგენს სრულიად საკავშირო შეჯიბრებისათვის დასაჯილდოებლად და რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივებს მიანიჭებს გარდამავალ წითელ დროშებს და ფულად პრემიებს, ბრა-
კუთვნებს კომუნისტური შრომის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივე-
ბის წოდებებს, მოაწყობს შრომის მოწინავე მეთოდებისა და მოწინავე გამოც-
დილების შესწავლას, განზოგადებას და გავრცელებას;

ი) პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად დააჯილდოებს სა-
მინისტროს სისტემის მოწინავე მუშაკებს სამკერდე ნიშნებით და საპატიო სიგე-
ლებით.

18. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო თავის მუშაობას
მოაწყობს დარგისადმი ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვასა და გა-
დაწყვეტაში კოლეგიალობისა და ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე
იმ ვარაუდით, რომ დაწესდეს თანამდებობის პირთა მკაცრი პასუხისმგებლობა
მუშაობის დავალებულ უბანზე საქმის მდგომარეობისა და გარკვეულ დავალე-
ბათა შესრულებისათვის.

19. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სათავეში უდ-
გას მინისტრი, რომელსაც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად,
დანიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდ-
ში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეტა-
ნილი იქნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები,
რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოად-
გილეებს შორის მოვალეობას განაწილებს მინისტრი.

20. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროში შეიქმნება კო-
ლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (თავმჯდომარე), მინისტრის მოად-
გილეები, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრ-
თა საბჭო.

21. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრს ეკისრება პერსო-
ნალური პასუხისმგებლობა სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანებისა და
მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი დააწესებს მინისტრის მოადგილეების,
სამინისტროს ქვეგანაყოფთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას სამინისტ-
როს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობისა-
თვის.

22. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი გამოსცემს სამინის-
ტროს კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა
და განკარგულებების, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ბრძა-
ნებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად, ბრძანებებსა
და ინსტრუქციებს და გასცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა სამი-
ნისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ შე-
სასრულებლად, და შეამოწმებს მათ შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

23. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად ტარდება, იმსჯელებს კვების მრეწველობის განვითარების ძირითად საკითხებსა და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებზე, განიხილავს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების, სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილება ცხოვრებაში ტარდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

24. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, კვების მრეწველობის მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრის, იმ რეკომენდაციების შემუშავების ძირითად მიმართულებათა შესახებ წინადადებების განსახილველად, რომლებიც შეეხება ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მეცნიერების უახლესი მიღწევების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენებას და წარმოებაში დანერგვას, — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიც შევლენ გამოჩენილი მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი.

25. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო სამინისტროს სისტემის საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის განსახილველად მოაწყობს არბიტრაჟს. სამინისტროს არბიტრაჟს უფლება ენიჭება გასცეს ბრძანებანი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა იძულებითი წესით შესრულების შესახებ.

არბიტრაჟის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო.

26. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე ტრესტების, სამმართველოებისა და განყოფილებების დებულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი.

სამინისტროს სამმართველოები და განყოფილებები შეიძლება გადაყვანილი იქნან მინისტრის მიერ სამეურნეო ანგარიშზე.

27. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო მოიწვევს დადგენილი წესით აქტივის თათბირებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლებზედაც მოსმენილი და განხილული იქნება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე, მოხსენებანი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ, დარგის განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემები, აგრეთვე სამინისტროს და მისი ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

28. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო მოაწყობს მშრომელთა წერილების (საჩივრებისა და განცხადებების) დროულად და ყურადღებით განხილვას, ეცდება ამ წერილებში დაყენებული საკითხების სწორად გადაჭრას, აგრეთვე მიიღებს ზომებს მშრომელთა წერილებში აღნიშნული იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რასაც ადგილი აქვს სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობაში.

29. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

101 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლოს წესით და საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება საკუთარი სურვილით, დათხოვნასთან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირებით, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ან დანაშაულის ჩადენისათვის, შემდეგი პუნქტი:

„100. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**.

ქ. თბილისი, 1968 წ. 21 ნოემბერი, № 585.

102 საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმების შემუშავების შესახებ

სოფლის მეურნეობაში მიწის, კაპიტალურ დაბანდებათა, ტექნიკის, აგრეთვე შრომითი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების მიზნით, სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიჩნეულია საჭიროდ შემუშავდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მათი ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმები, დაზუსტდეს, სადაც ეს საჭიროა, მეურნეობათა ოდენობა და მათი სპეციალიზაცია ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიური პირობების შესაბამისად.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების განსახორციელებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა და სოფლის მეურნეობის რაიონულმა საწარმოო სამმართველოებმა:

ა) მოაწყონ, 1969 წლიდან დაწყებული, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მათი ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმების შემუშავება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შედგენილი ტიპობრივი ფორმულარებისა და მეთოდური მითითებების მიხედვით;

ბ) ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმების შედგენის დაწყებამდე განსაზღვრონ, ბუნებრივ-ეკონომიური პირობების საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, რაიონებისა და კონკრეტული მეურნეობების მიხედვით, ხოლო იქ, სადაც ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებელია, დააზუსტონ მეურნეობათა სპეციალიზაცია, რაც დაწესებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების 1968—1970 წლების გეგმების განაწილების დროს;

ბ) დასახონ ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმებით წარმოების იმ დარგების უპირატესი განვითარება, რომლებისთვისაც მეურნეობის ადგილსამყოფელის ზონაში მოიპოვება საუკეთესო პირობები და რომლის დროსაც მიღწეული იქნება დანახარჯების რაც შეიძლება მეტი მომჭირნეობა, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ ცალკეული დარგების შეკვეცა ზოგიერთ მეურნეობაში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ დარგების სხვა მეურნეობებში წინმსწრები განვითარების ხარჯზე იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოსათვის საჭირო პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის განუწყვეტელი გადიდება.

2. დაწესდეს, რომ ორგანიზაციულ-სამეურნეო გეგმები შემუშავდება უშუალოდ მეურნეობებში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების, აგრეთვე საპროექტო ინსტიტუტების „საქმიწსახპროექტის“, „საქსახსოფლმშენპროექტის“ ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობით, ამ გეგმებს განიხილავენ და დაამტკიცებენ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში — ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროები, სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველო, ხოლო დანარჩენი რაიონების კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლო-საცდელ და სხვა მეურნეობებში — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა 1969 წლის 1 იანვრამდე გამოსცენ ქართულ და რუსულ ენაზე ტიპობრივი ფორმულარები, მეთოდური მითითებანი და საცნობარო მასალები, რომლებიც საჭიროა ორგანიზაციულ-სამეურნეო გეგმების შესადგენად კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში.

ორგანიზაციულ-სამეურნეო გეგმების შესადგენად საჭირო ტიპობრივი ფორმულარების, მეთოდური მითითებებისა და საცნობარო მასალების გამოცემასთან დაკავშირებული ხარჯები გაწეულ იქნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმ საოპერაციო ხარჯების ხარჯთაღრიცხვების ანგარიშში, რომლებიც დამტკიცებულია 1968 წლის ბიუჯეტით.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა ჩაატარონ ადგილებზე 1968 წლის დეკემბრის განმავლობაში სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და საპროექტო ინსტიტუტების მონაწილეობით მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა საინსტრუქციო თათბირები ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმების შემუშავების საკითხებზე, ამასთან ჩააბან ამ მუშაობაში სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკები, ავრეთვე იმ მეურნეობათა ხელმძღვანელები, რომლებსაც მოეპოვებათ ასეთი გეგმების შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება.

*

* *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნია, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმების შემუშავება წარმოადგენს საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, სამეცნიერო-საკვლევი, სასწავლო და საპროექტო ინსტიტუტების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელთა უმნიშვნელოვანეს ამოცანას და ავალებს მათ უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 21 ნოემბერი, № 586.

103 საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის სახელობის სტიპენდიების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ყველა უმაღლეს სასწავლებელში დაწესდეს კომკავშირის სახელობის თითო სტიპენდია 50 მანეთის ოდენობით, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაწესდეს, რომ კომკავშირის სახელობის სტიპენდია დაენიშნებათ ზემოაღნიშნულ ჩინებულ კომკავშირელ სტუდენტებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი. 1968 წ. 21 ნოემბერი, № 587.

104 ქ. ბათუმში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს შუამდგომლობა და დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 1 იანვრიდან შექმნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი, ამ სამინისტროსათვის დამტკიცებული მუშაკთა საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი. 1968 წ. 21 ნოემბერი, № 589.

ეროვნული ბიბლიოთეკა

105 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 სექტემბრის № 741 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 სექტემბრის № 741 დადგენილებისა „იმის შესახებ, რომ გაუქმდეს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი იმის გამო, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ 1966 წლის 22 იანვარს მიიღეს № 52 დადგენილება „მრეწველობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების შესახებ“. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „პრემიების ოდენობის ნაწილობრივ შემცირების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 30 ივლისის № 838 დადგენილების მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 22 ივნისის № 491 განკარგულება.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 სექტემბრის № 741 დადგენილებით გაუქმებულია პუნქტი 17 სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 6 ივნისის № 559 დადგენილებისა „ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის „რ“ და „რს“ ტიპის ახალი კონსტრუქციის საავტომობილო სალტეების წარმოების მოწყობის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 ივლისის № 1086 განკარგულებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

ქ. თბილისი, 1968 წ. 25 ნოემბერი № 595.

106 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 აგვისტოს № 587 დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 სექტემბრის № 752 დადგენილებისა „ჩვენს ქვეყანაში საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 19 მაისის № 449 დადგენილებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მთავრობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებათა გაუქმებისა და შეცვლის თაობაზე", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 აგვისტოს № 587 დადგენილება (მე-2 პუნქტის ქვეპუნქტი „დ") „საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოგონებათა ხაზით სახელმწიფო ინტერესების დაცვის გაუმჯობესებისა და გამომგონებლობის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ".

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 სექტემბრის № 752 დადგენილებით გაუქმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 დეკემბრის № 1290 დადგენილებით დამტკიცებული იმ ცვლილებების მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის უკანასკნელი აბზაცი, რომლებიც შეიტანება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში, თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 14 ივნისის № 607 დადგენილებისა „სსრ კავშირში გამოგონებათა ხაზით სახელმწიფო ინტერესების დაცვის გაუმჯობესებისა და გამომგონებლობის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", დაგზავნილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 26 იანვრის № 81 განკარგულებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**.

ქ. თბილისი, 1968 წ. 25 ნოემბერი № 596.

107 ქ. თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრისათვის, ქარხანა „ელექტროგამშვების" და 77-ე საშუალო სკოლისათვის ლენინური კომკავშირის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის შუამდგომლობა და სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით მიეკუთვნოთ ლენინური კომკავშირის სახელი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსულ თეატრს;
თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვებს“;
თბილისის 77-ე საშუალო სკოლას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 25 ნოემბერი, № 597.

108 საქართველოს სს რესპუბლიკაში დამტკიცებული მძიმე მრეწველობის პროდუქციის საბითუმო ფასების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში დამტკიცებული და 1967 წლის 1 ივლისიდან სამოქმედოდ შემოღებული მძიმე მრეწველობის პროდუქციის საბითუმო ფასები ძირითადად უზრუნველყოფენ საწარმოების ნორმალურ მუშაობას წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ პირობებში.

რესპუბლიკური ნომენკლატურის მძიმე მრეწველობის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების შემოღებამ უზრუნველყო ცალკეული სახის პროდუქციის ფასების ეკონომიურად უფრო სწორი თანაფარდობა და აღმოფხვრა მკვეთრი განსხვავება სამრეწველო წარმოების ცალკეულ ნაკეთობათა რენტაბელობაში.

ამასთან ერთად, როგორც დაგვანახვა ახალი საბითუმო ფასების გამოყენების შემოწმებამ 1967 წლის მეორე ნახევრისა და 1968 წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგების მიხედვით, ცალკეულ ნაკეთობათა რენტაბელობის დონე ჯერ კიდევ მკვეთრად განსხვავდება საანგარიშსწორებო და გეგმიანი რენტაბელობისაგან. რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში ადგილი აქვს პროდუქციის რენტაბელობის დიდ მერყეობას: უშვებენ როგორც მეტისმეტად მაღალი რენტაბელობის ნაკეთობებს. ისე დაბალი რენტაბელობის და საზარალო ნაკეთობებსაც კი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმართლებლად მაღალია საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ დამზადებული საკიდი კონვეიერების, გაზბალონების, ლითონის საწოლების რენტაბელობა.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სისტემა უშვებს საზარალო პროდუქციას და ისეთ ნაკეთობებს, რომელთა რენტაბელობა 70 პროცენტს აღემატება.

მთელ რიგ შემთხვევებში ცალკეული საწარმოები რენტაბელობის ამაღლებას აღწევენ არა იმით რომ უკეთ გამოიყენონ საწარმოო ფონდები, მატერიალური და შრომითი რესურსები, არამედ იმით, რომ ადიდებენ პროდუქციის წარმოების თვითღირებულებას ფასების პროექტების შემუშავების დროს, აღღვევენ საბითუმო ფასების, განსაკუთრებით ისეთი პროდუქციის ფასების დამტკიცებისა და გამოყენების დადგენილ წესს, რომელიც ერთჯერადი შეკვეთებით მზადდება.

საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები საკმაო ყურადღებას აო აქცევენ სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას საბითუმო ფასების დაწესებისა და გამოყენების დარგში, სუსტად ახორციელებენ ამ მუშაობისადმი კონტროლს მათ ქვესაუწყებო საწარმოებში.

„მძიმე მრეწველობის პროდუქციის საბითუმო ფასების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 24 ოქტომბრის № 833 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ვინაიდან მოქმედი საბითუმო ფასები გახდება სახალხო მეურნეობაში დაგეგმვისა და ანგარიშსწორების ბაზად ახალი ხუთწლედის მანძილზე, დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს 1969 წლის 1 მაისამდე დაამტკიცოს პროდუქციის ცალკეულ სახეობათა და ჯგუფების მოქმედი საბითუმო ფასების საჭირო შესწორებანი (იმ შემთხვევებში, როდესაც გამოვლინებულია შეუსაბამობა პროდუქციის ფასებსა და მისი წარმოების დანახარჯებს შორის, აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციის პირობებს შორის) და შემოიღოს ისინი სამოქმედოდ 1970 წლის 1 იანვრიდან.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა:

ა) არა უგვიანეს 1969 წლის 15 მარტისა წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს ახალი საბითუმო ფასების გამოყენების 1968 წლის ეკონომიური შედეგების ანალიზისა და შემოწმების საფუძველზე მომზადებული პროექტები იმ ცვლილებებისა, რომლებიც შეტანილ უნდა იქნან რესპუბლიკური ნომენკლატურის მძიმე მრეწველობის პროდუქციის ცალკეულ სახეობათა საბითუმო ფასებში;

ბ) შეიტანონ საჭირო შესწორებანი საბითუმო ფასების რეფორმის გატარებისას მათ მიერ დაწესებულ საბითუმო ფასებში პროდუქციის ცალკეული სახეობებისა და ჯგუფებისათვის, რომელთა მიხედვით დაშვებულია რენტაბელობის დონის დაღლეგვა, მთლიანად დაამთავრონ ეს მუშაობა 1969 წლის 1 აპრილამდე იმ ანგარიშით, **რომ 1970 წლის 1 იანვრიდან შემოღებულ იქნას სამოქმედოდ დაზუსტებული ფასები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედ საბითუმო ფასებში შესწორებების შეტანა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის უდანაკარგებოდ;

გ) შეისწავლონ პროდუქციის ცალკეული სახეობებისა და ჯგუფების, აგრეთვე მთლიანად საწარმოების, ზარალიანობის მიზეზები და შეიმუშაონ ღონისძიებანი პროდუქციის წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის. მიღებული ზომების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არა უგვიანეს 1969 წლის 1 მარტისა;

დ) გააძლიერონ მოთხოვნები ახალი საბითუმო ფასების შესამუშავებელი პროექტების ეკონომიური დასაბუთებულობის მიმართ, აგრეთვე იმის მიმართ, თუ რამდენად ზუსტია მათ დასასაბუთებლად წარდგენილი საკალკულაციო და სხვა მასალები, იმ ანგარიშით, რომ გამოირიცხოს პროდუქციის წარმოების ხარჯებისა და ამ პროდუქციის დაპროექტებული ფასების დონის ხელოვნურად გადიდების შესაძლებლობა;

ე) სისტემატურად შეამოწმონ ქვესაუწყებო საწარმოებში ფასების დაწესებისა და გამოყენების პრაქტიკა, ამასთან გადაჭრით აღკვეთონ არაჯანსაღი ტენდენცია დიდი მოგების მიღებისაკენ, ფასების გადიდებისა და ამ ფასების დამტკიცება-შეფარდების დადგენილი წესის დარღვევის გზით.

დაეკისროთ საქართველოს სსრ მინისტრებს და უწყებათა ხელმძღვანელებს იმის პერსონალური პასუხისმგებლობა, რომ სწორად იქნას დაწესებული და შეფარდებული ქვესაუწყებო საწარმოთა პროდუქციის საბითუმო ფასები და ამასთან არ იქნას დაშვებული საწარმოთა რენტაბელობის გადიდება საბითუმო ფასების დაუსაბუთებლად გადიდების ხარჯზე.

ფასებისა და სამეურნეო მუშაობის ამ მნიშვნელოვანი უბნის განმტკიცების დარგში სახელმწიფო დისციპლინის გასაძლიერებლად მიღებული ზომების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 1 იანვრამდე.

3. საბითუმო ფასების შემდგომი სრულყოფისათვის გეგმაზომიერი მუშაობის ორგანიზაციის მიზნით, აგრეთვე იმის გამო, რომ სახალხო მეურნეობა მოითხოვს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის იმ პირობების შესაბამისად განსაზღვრულ ფასებს, რომლებიც შეიქმნება მთელი რიგი წლების მანძილზე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს ხუთწლიანი გეგმებით, 1971—1975 წლების გეგმით დაწყებული, საბითუმო ფასების შეცვლის ინდექსები რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის პროდუქციის ცალკეული ჯგუფების მიხედვით.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს წარუდგინონ, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმების პროექტებთან ერთად, წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებანი პროდუქციის ცალკეული ჯგუფების მოქმედ საბითუმო ფასებში ხუთწლედის წლების მიხედვით და საანგარიშო მონაცემები იმისა, თუ რა გავლენას მოახდენენ აღნიშნული ცვლილებები ფასების საერთო დონეზე მრეწველობის შესაბამის დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს საბითუმო ფასების შეცვლის შეჯამებული გეგმების შედგენა ხუთწლედების მიხედვით.

აღნიშნული გეგმების შემუშავებას საფუძვლად დაუდოს იმის საჭიროება, რომ მოხდეს საბითუმო ფასების დონის თანდათანობითი, ეკონომიურად დასაბუთებული შემცირება შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების ხარჯების შემცირების ბაზაზე, როგორც ერთ-ერთი პირობა იმისა, რომ უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული სახალხო მეურნეობაში პროგრესული მასალები, მანქანები და მოწყობილობა.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ფასების კომიტეტმა გააძლიეროს კონტროლი საბითუმო ფასების დაწესების და შეფარდების სისწორისადმი.

უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს:

ჩაატაროს საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ფასების დაწესებისა და შეფარდების სისწორის შემოწმება, აგრეთვე ამ შემოწმების შედეგების მიხედვით მიიღოს შესაბამისი სამინისტროებისა, უწყებებისა, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებანი გამოვლინებული დარღვევების აღმოფხვრის შესახებ;

მოისმინოს სამინისტროებისა და უწყებების მოხსენებანი, მიიღოს სამინისტროებისა და უწყებებისაგან, ხოლო საჭირო შემთხვევებში — უშუალოდ საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მასალები და ახსნა-განმარტება ფასების დაწესებისა და შეფარდების საკითხებზე;

გააუქმოს ის ფასები, რომელთა დამტკიცების დროს სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დარღვეულია მოთხოვნები მოქმედი კანონმდებლობისა ფასწარმოქმნის შესახებ;

მიიღოს გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ დამატებითი ამონაგების მთელი თანხა, რაც მიღებულია ფასების დამტკიცების ან შეფარდების მოქმედი წესის დარღვევის შედეგად, გადაირიცხოს შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში (საწარმოს, ორგანიზაციის დაქვემდებარების მიხედვით).

5. ეცნობოთ სამინისტროებსა და უწყებებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1968 წლის 24 ოქტომბრის № 833 დადგენილებით „მძიმე მრეწველობის პროდუქციის საბითუმო ფასების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“:

ა) დააწესა მძიმე მრეწველობის პროდუქციის იმ საბითუმო ფასების შემდგომი სრულყოფის შემდეგი ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც შემოღებულია სამოქმედოდ 1967 წლის 1 ივლისიდან:

უზრუნველყოფა როგორც მთლიანად საბითუმო ფასების სისტემის საჭირო სტაბილობისა, ისე პროდუქციის ცალკეული სახეობებისა და ჯგუფების საბითუმო ფასების დროულად გადასინჯვისა, მისი წარმოებისა და რეალიზაციის პირობების და ტექნიკური დონისა და პროდუქციის სამომხმარებლო თვისებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისადმი მოთხოვნების შეცვლის მიხედვით იმ ანგარიშით, რომ არ იქნას დაშვებული მოძველებული პროდუქციისათვის გადიდებული რენტაბელობა, რაც ასუსტებს დასამზადებელ ნაკეთობათა განახლებისა და მათი ხარისხის ამაღლების სტიმულს;

წარმოების სტიმულირებისა და ახალი პროგრესული და ეკონომიურად ეფექტიანი ტექნიკის გამოყენების პრაქტიკის გაფართოება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც შემოღებულ უნდა იქნას იმ ნაკეთობათა გადიდებული ფასები, რაც მზადდება ახალი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებენ უფრო მკაცრ მოთხოვნებს პროდუქციის სიზუსტისა, საიმედობისა და სხვა ხარისხობრივი დახასიათებისადმი, აგრეთვე დაწესდეს ფასების ფიქსირებული დანამატები ცალკეული ტექნიკურ-ეკონომიური პარამეტრების გაუმჯობესებისათვის, რაც უზრუნველყოფს დამატებითს ეკონომიურ ეფექტს მომხმარებლებისათვის, და შემოღებულ იქნას ფასდაკლება ან საბიუჯეტო გადასახდელები იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი ექნება პროდუქციის ხარისხისადმი ცალკეული მოთხოვნებისაგან დროებით გადახრას (სტანდარტიზაციის სახელმწიფო ორგანოების მიერ დასაშვებ ფარგლებში);

ცალკეულ ნაკეთობათა წარმოების რენტაბელობაში გაუმართლებელ განსხვავებათა აღმოფხვრა მრეწველობის შესაბამისი დარგების ფარგლებში და ამით საუკეთესო პირობების შექმნა პროდუქციის ნომენკლატურის (ასორტიმენტის) გეგმიან დავალებათა შესრულებისათვის;

ბ) იმ მიზნით, რომ აღიკვეთოს ცალკეული საწარმოების მიერ ისეთი რენტაბელობის მიღების შესაძლებლობა, რომელიც ვერ ასახავს მათი საქმიანობის ნამდვილ შედეგებს, დააწესა, რომ პროდუქციაზე, რომლისათვის გათვალისწინებულია ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც ნაანგარიშევია შედარებით ხანგრძლივი პერიოდისათვის, — უნდა დამტკიცდეს დიფერენცირებული ფასები ან ფასდაკლება, რასაც იყენებენ ცალკეული შემკვეთებისათვის მისაწოდებელი პროდუქციის ხარისხის მიხედვით;

წინადადება მისცა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს დაამტკიცოს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარდგენით და შემოიღოს სამოქმედოდ აღნიშნული დიფერენცირებული ფასები და ფასდაკლება 1970 წლის 1 იანვრიდან;

გ) იმ მიზნით, რომ შემდეგში არ იქნეს დაშვებული ცალკეული საწარმოების მიერ სერიული პროდუქციის საბითუმო ფასების უკანონოდ დამტკიცება ისეთ ნაკეთობებთან მისი თვითნებურად მიკუთვნების გზით, რომლებიც ერთჯერადი შეკვეთებით მზადდება, აგრეთვე, რომ აღმოიფხვრას რენტაბელობის გადიდება ასეთი პროდუქციის ფასების დაწესების დროს, დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს ერთი თვის ვადაში მისცეს სამინისტროებსა და უწყებებს მითითებანი, თუ რა წესით უნდა მიეკუთვნოს პროდუქცია იმ ნაკეთობებს, რომლებიც ერთჯერადი შეკვეთებით მზადდება და რა წესით უნდა განისაზღვროს ამ ნაკეთობათა ფასები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის გათვალისწინებით, რომ ამასთან რენტაბელობა არ უნდა დაწესდეს ბევრ მეტი, რაც დაწესებულია ძირითადი პროდუქციისათვის;

დ) დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას და სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს შესაბამისი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების მონაწილეობით გულმოდგინედ გააანალიზონ სამრეწველო პროდუქციის საბითუმო ფასების დაწესების პრაქტიკა და გამოიმუშაონ ეკონომიურად დასაბუთებული კრიტერიუმი საბითუმო ფასების დონის რეგულირებისათვის იმ ანგარიშით, რომ გამოირიცხოს წარმოების რენტაბელობის ხელოვნურად გადიდების შესაძლებლობა და უზრუნველყოფილ იქნას საწარმოთა საქმიანობის სწორი შეფასება;

ე) ნება დართო სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს გააგრძელონ საჭიროების შემთხვევაში 1969 წლის 1 იანვრამდე მძიმე მრეწველობის პროდუქციის ცალკეულ სახეობათა დროებითი ფასების მოქმედების ვადა, რომელიც 1968 წლის 30 სექტემბერს გავიდა;

დაავალა სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს ასახონ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების 1969 და შემდგომი წლების გეგმებში პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების მოცულობაში მომხდარი ცვლილებანი, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ სამოქმედოდ იქნა შემოღებული დაგეგმილ პერიოდში მუდმივი საბითუმო ფასები, ნაცვლად დროებითი ფასებისა;

დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, შეიმუშაოს წესი ამონაგებისა და დანახარჯების იმ ცვლილებათა აღრიცხვისა გეგმებით, რომლებიც გამოწვეულია საბითუმო ფასების გადასინჯვით, იმ ანგარიშით, რომ მაქსიმალურად გამარტივდეს ეს აღრიცხვა და აღმოიფხვრას შესაძლებლობა საწარმოებში ფინანსური სიძნელეების შექმნისა მათი პროდუქციის ფასების შემცირების დროს;

ვ) დააწესა, რომ საბითუმო ფასების შეცვლისას, რაც იწვევს რეალიზებული პროდუქციის და მოგების ოდენობის შემცირებას ან გადიდებას, მიმწოდებელი საწარმოების ხოლო საჭირო შემთხვევებში აგრეთვე მომხმარებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების წახალისების ფონდების შექმნის მოქმედ ნორმატივებში შეტანილ უნდა იქნას დადგენილი წესით შესაბამისი დაზუსტებანი.

აღნიშნული დაზუსტებანი ნორმატივებში არ შეიტანება იმ შემთხვევებში, თუ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა გააუქმეს პროდუქციის ცალკეულ სახეობათა საბითუმო ფასები, რომელთა დამტკიცების დროს დარღვეულია მოთხოვნები მოქმედი კანონმდებლობისა ფასების შექმნის შესახებ, აგრეთვე როდესაც საწარმოებმა შეამცირეს ისეთი პროდუქციის ფასები, რომელიც არ საღდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სტანდარტების, ზომებისა და საზომი ხელსაწყოების კომიტეტს და სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს 1969 წლის 1 ივლისამდე დაამთავრონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილების 53 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემუშავება და მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებში შეტანა პროდუქციის ხარისხის, საიმედობის და ხანგრძლიობის ობიექტური მაჩვენებლებისა იმ ანგარიშით, რომ ამ საფუძველზე 1969—1970 წლების განმავლობაში ფასების შექმნის სახელმწიფო ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ ფასების შემდგომი დიფერენციაცია იმ ხარისხობრივი მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც დაწესებულია სტანდარტებითა და ტექნიკური პირობებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**.

ქ. თბილისი, 1968 წ. 28 ნოემბერი, № 606.

109 ქ. თბილისში თვითნებურად აგებულ საცხოვრებელ სახლებში მოქალაქეთა გასაწერად დროებითი საბინაო დავთრების გაცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ წარსულში ადგილობრივი ორგანოების დაუდევრობის შედეგად ქ. თბილისში ადგილი ჰქონდა თვითნებურ მშენებლობას. თვითნებურად აგებული სახლების სიმრავლის გამო ადგილობრივი ორგანოები ვერ იყენებდნენ კანონით გათვალისწინებულ ზომებს — მათი აღება-ჩამორთმევის სახით. ასეთ სახლებში მცხოვრები მოსახლეობა აღურიცხველი რჩებოდა, რაც დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და, როგორც გამონაკლისი, ნება დაერთოს მას წარსულში თვითნებურად აშენებულ 4350 სახლში მცხოვრებთა აღრიცხვის მიზნით, მისცეს ამ სახლების მეპატრონეებს დროებითი საბინაო დავთრები.

2. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს:

განუმარტოს მოქალაქეებს, რომლებმაც თვითნებურად და უპროექტოდ ააგეს საცხოვრებელი სახლები, რომ:

ა) დროებითი საბინაო დავთრების გაცემა მათ არ ანიჭებს კანონით გათვალისწინებული სახლის მესაკუთრის უფლებებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) რომ მათ უფლება არა აქვთ გაასხვისონ რაიმე ფორმით აღნიშნული შენობები ან აწარმოონ მიშენება-დაშენება და რეკონსტრუქცია; მათ შეუძლიათ იცხოვრონ ამ ნაგებობებში მანამ, ვიდრე საჭირო გახდება ამ მიწის ნაკვეთების გამოყენება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, და რომ მათ არ აუნაზღაურდებათ ამ ნაკვეთზე თვითნებურად აგებული სახლისა და ნარგავების ღირებულება.

3. დაევალოს ქ. თბილისისა და მისი რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მიიღონ გადამჭრელი ზომები თვითნებური მშენებლობის აღკვეთისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 28 ნოემბერი, № 608.

110 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 იანვრის № 12 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 იანვრის № 12 დადგენილებისა „დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ თამბაქოსა და წეკოს მიღების და თამბაქოს, წეკოს და ამ კულტურების თესლის შესასყიდი ფასების შესახებ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაერთიანების თაობაზე", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 3 აპრილის № 359 დადგენილება „1951 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების გეგმის შესახებ";

ბ) დანართები №№ 6 და 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 13 ივლისის № 446 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების სამუშაოების ნატურსაზღაურის გაუქმების, ამ პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ", აგრეთვე ამ დადგენილების მე-14 პუნქტი არაფერმენტირებული თამბაქოს შესასყიდი ფასების ნაწილში და დადგენილების დანართი № 1 ( ) ნ წილში, რომელიც ეხება იმ ორგანიზაციებსა და საწარმოებს, რომელთაც ეკისრებათ თამბაქოს მიღება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 მარტის № 110 დადგენილება (მე-2 პუნქტის ქვეპუნქტი „ა") „იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების შესახებ, რომელსაც სახელმწიფოს აბარებენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები", იმ ნაწილში, რომელიც შეეხება წეკოს ნედლეულის, თამბაქოსა და წეკოს თესლის ჩასაბარებელ ფასებს;

დ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 7 სექტემბრის № 536 დადგენილება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მოყვანილი „სამსუნის" ჯიშის თამბაქოს შესასყიდი ფასების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 29 ნოემბერი, № 609.

111 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 სექტემბრის № 779 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 სექტემბრის № 779 დადგენილებისა „იმის შესახებ, რომ ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1968 წლის 1 თებერვალს მიღებულია დადგენილება № 69 „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის (სსრკ სახსამთოტექზედამხედველობა) საკითხები", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 მაისის № 345 დადგენილება „საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კონტროლის ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ", გარდა მე-3 პუნქტისა;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 11 ოქტომბრის № 660 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამუშაოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ";

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 4 თებერვლის № 56 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქსამთოტექზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 29 ნოემბერი, № 610.

112 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 ივლისის № 523 დადგენილების მე-3 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 14 ნოემბრის № 877 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 ივლისის № 523 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაცვლელად, ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომლებიც წარმოადგენენ საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, კომუნალური მეურნეობისა და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის ერთიან შემკვეთებს, შეუდგნენ აღნიშნული ობიექტების მშენებლობას სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, თუ მშენებლობის დაწყების დროისათვის მათ მოეპოვებათ სახსრები ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სულ ცოტა 50 პროცენტი მაინც, იმ ანგარიშით, რომ საჭირო სახსრების დაგროვება ამ ობიექტების მშენებლობის დასამთავრებლად უზრუნველყოფილ იქნას მშენებლობის ხანგრძლიობის ნორმებით დაწესებულ ვადაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 29 ნოემბერი, № 611.

ეროვნული ბიბლიოთეკა

113 საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 4 დეკემბერი, № 618.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 4 დეკემბრის № 618
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო ხელმძღვანელობას გაუწევს ხორცის გადამმუშავებელ, მოუხდელი რძის, ყველერბოკარაქის და სამინისტროს ქვესაუწყებო სამედიცინო მრეწველობას, აგრეთვე პირუტყვისა და რძის შესყიდვას.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო პასუხისმგებელია ხორცისა და რძის მრეწველობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, წარმოების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ტექნიკური დონისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და იმისათვის, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის მოთხოვნილება ხორცისა და რძის მრეწველობის ყველა სახის პროდუქციაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მთავარი ამოცანაა:

ხორცისა და რძის მრეწველობის, როგორც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, ყოველმხრივ განვითარება, აგრეთვე სამედიცინო პრეპარატების გამოშვება, წარმოების განვითარების და შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება ხორცისა და რძის მრეწველობის პროდუქციაზე;

სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულება და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის უზრუნველყოფა;

მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარება დარგში, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვა და წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების უზრუნველყოფა;

კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურად გამოყენება და მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულების შემცირება და მისი ვადების შეკვეცა, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროზე გადაცემა საექსპლუატაციოდ, აგრეთვე საწარმოოს სიმძლავრეთა ათვისება მოკლე ვადებში;

შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, იმის პირობების შექმნა, რომ რაც შეიძლება უკეთ იქნას გამოყენებული მუშაკთა ცოდნა და გამოცდილება, იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც კარგი სახელი დაიმსახურეს;

სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, შრომის უსაშიშრო პირობების შექმნა წარმოებაში;

3. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო ხელმძღვანელობას გაუწევს რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობას და უშუალოდ, ან მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით, განაგებს საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

4. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო, როგორც წამყვანი რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის პროდუქციის წარმოებაში, მონაწილეობას იღებს იმ საწარმოების მიერ ამ პროდუქციის წარმოებისა და გამოშვების განვითარების დაგეგმვაში, რომლებიც არ შედიან მის სისტემაში, და შეიმუშავებს აღნიშნული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს დადგენილი წესით საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო დაამტკიცებს სამინისტროს სისტემის საწარმოთა წესდებებს და ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დებულებებს (წესდებებს).

6. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო სამინისტროს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის სამეურნეო დავის განსახილველად შექმნის არბიტრაჟს. სამინისტროს არბიტრაჟს უფლება აქვს გასცეს ბრძანებები მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა იძულებითი შესრულების შესახებ.

არბიტრაჟის დებულებას დაამტკიცებს მინისტრი.

7. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად შეფარდებას სამინისტროს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

8. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო:

ა) განსაზღვრავს რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის განვითარების ძირითად მიმართულებებს;

ბ) უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემის საწარმოებში შემოსული პირუტყვის, რძის დროულად და კომპლექსურად გადამუშავებას, მაღალხარისხოვანი ხორცისა და რძის პროდუქტების გამომუშავებას;

გ) მოაწყობს დამზადებული პირუტყვის სამრეწველო გასუქებას სამინისტროს სისტემის სასუქებელ მეურნეობებში და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

დ) მონაწილეობას მიიღებს რძისა და პირუტყვის შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შემუშავებაში, განახორციელებს რძის, პირუტყვის შესყიდვას სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ;

ე) მონაწილეობას მიიღებს ისეთ ღონისძიებათა შემუშავებაში, რომელთა მიზანია ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოების ნედლეული ბაზის შექმნა და განვითარება;

ვ) კონტროლს გაუწევს პროდუქციის ხარისხს და ვეტერინარული და სანიტარული რეჟიმის დაცვას სამინისტროს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში; ხარისხისადმი მოთხოვნების დარღვევის ანდა ვეტერინარული ან სანიტარული რეჟიმის დაუცველობის შემთხვევაში შეაჩერებს პროდუქციის გამომუშავებას და მის გაგზავნას სავაჭრო ორგანიზაციისათვის;

ზ) შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარადგენს დადგენილი წესით სამინისტროს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა ტვირთზიდვის გეგმებს; მოაწყობს ამ ტვირთის გადაზიდვას სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით;

თ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს პროდუქციის გამოსავლიანობის ნორმებს, სამინისტროს სისტემის საწარმოებში ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოებისას ნედლეულის, მასალების ხარჯვისა და დანაკარგის ნორმებს, თუ ამ ნორმების დამტკიცება არ შედის სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს კომპეტენციაში;

ი) მოაწყობს პირველადს აღრიცხვას სამინისტროს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, დადგენილი წესით მიიღებს სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას, განახორციელებს აღრიცხვის პროგრესული მეთოდის დანერგვის ღონისძიებებს;

— განიხილავს და დაამტკიცებს სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსებსა და ანგარიშებს, შეადგენს შეჯამებულ ანგარიშებსა და ბალანსებს სამინისტროს საქმიანობის სახეობათა მიხედვით;

კ) მოაწყობს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას სამინისტროს სისტემაში, უზრუნველყოფს, უწყებრივი კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რევიზიების რეგულარულად ჩატარებას, ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვის შემოწმებას, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას, კონტროლს გაუწევს აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებას სამინისტროს სისტემაში და მათს უტყუარობას, აგრეთვე განახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დაცვა-შენახვისა და მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისათვის;

ლ) ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, შეიმუშავებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიულ და მიმდინარე თემატიკურ გეგმებს, უზრუნველყოფს მიღებულ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას;

მ) განსაზღვრავს სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილებას ნედლეულზე, სათბობზე, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ რესურსებზე, რომლებიც სამინისტროს გამოეყოფა, და პასუხისმგებელია ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის;

ნ) განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, სამინისტროს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა რენტაბელობის ამაღლება და დაგროვების მაქსიმალურად გადიდება, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანად გამოყენება,

განახორციელებს კონტროლს საფინანსო რესურსების გამოყენებისადმი სამინისტროს სისტემაში;

ო) შექმნის დადგენილი წესით ახალი ტექნიკის ათვისების ფონდს, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის დაჯილდოების ფონდს და სხვა ცენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საფინანსო დახმარების გასაწევად;

პ) დადგენილი წესით წარადგენს სამინისტროს სისტემის მოწინავე მუშაკებს სამკერდე ნიშნებითა და საპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად;

ჟ) შეიმუშავებს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს და დასამტკიცებლად წარადგენს მათ დადგენილი წესით;

რ) დაამტკიცებს გეგმიან დავალებებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, განახორციელებს ღონისძიებებს დამტკიცებული გეგმების შესასრულებლად;

ს) მოაწყობს მუშაობას დაგეგმვის სრულყოფისათვის, წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებისა და რენტაბელობის ამაღლებისათვის, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოთა სპეციალიზაციისათვის, მოწინავე ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სახალხო მოხმარების ახალი სახის საქონლის გამოშვების ათვისებისა და წარმოებიდან ისეთი ნაწარმის მოხსნისათვის, რომელიც არ საღდება;

ტ) მოაწყობს ქვესაუწყებო საწარმოების პროდუქციის გასაღებას, განავითარებს და განამტკიცებს პირდაპირ კავშირურთიერთობას მიმწოდებელ და მომხმარებელ საწარმოებს შორის; კონტროლს გაუწევს სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებას და შესრულებას;

უ) უზრუნველყოფს საქონლის საექსპორტოდ მიწოდების დავალებათა შესრულებას და მიიღებს ზომებს საექსპორტოდ მისაწოდებელი საქონლის ნომენკლატურის გაფართოებისა და საექსპორტო მიწოდებათა მოცულობის გადიდებისათვის;

ფ) უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა უფრო მეტი ეფექტიანობით გამოყენებას, ახალი მშენებლობის რაციონალურად განლაგებას, კაპიტალურ დაბანდებათა პირველ რიგში გამოყენებას მოქმედი საწარმოების ტექნიკური ხელახალი შეიარაღებისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დაჩქარებას, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციას საექსპლუატაციოდ გადასაცემ უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის შემცირებას; დადგენილი წესით განახორციელებს პროექტების ექსპერტიზას, განიხილავს და დაამტკიცებს სატიტულო სიებს და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოებისათვის, კონტროლს გაუწევს მშენებლობას, რომელსაც მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციები ახორციელებენ;

ქ) უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტების, რესპუბლიკათშორისი, რესპუბლიკური და სხვა ტექნიკური პირობების დანერგვას და დაცვას, შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით იმ პროდუქციის ტექნიკურ პირობებს, რომელსაც უშვებენ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოები და რომელზედაც არ არსებობს სახელმწიფო სტანდარტები, რესპუბლიკათშორისი და რესპუბლიკური ტექნიკური პირობები;

ღ) განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ჰაერის, ნიადაგისა და წყალსატევების დაცვა სამრეწველო და სამეურნეო გადანაყარით, ჩამდინარე წყლებითა და წარმოების სხვა ნარჩენებით გაბინძურებისაგან, აგრეთვე ბრძოლა სამრეწველო ხმაურის წინააღმდეგ;

ყ) აწარმოებს მუშაობას კადრების შერჩევისა, აღზრდისა და მომზადებისათვის და ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, უზრუნველყოფს მათს სწორად გამოყენებას;

შ) შეიმუშავებს წინადადებებს ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის მეცნიერულ ორგანიზაციასა და ნორმირებას, კადრების დენადობის აღკვეთას; კონტროლს გაუწევს მუშაკთა შრომის ანაზღაურების დაწესებული პირობების სწორად გამოყენებას, შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე ხელფასის ფონდების სწორად ხარჯვას;

ჩ) მოაწყობს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას, მიმართულს მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისაკენ, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისაკენ, სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისაკენ, მატერიალური და ფულადი რესურსების მომჭირნეობით ხარჯვისაკენ, უხელმძღვანელებს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და კონტროლს გაუწევს მათ შესრულებას;

ც) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამინისტროს აპარატის და მისი ქვესაუწყებო საწარმოების. დაწესებულებების და ორგანიზაციების სტრუქტურის სრულყოფას და მათი შენახვის ხარჯების შემცირებას;

ძ) მოაწყობს მუშაობას შრომის დაცვის, უსაფრთხობის ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის გაუმჯობესებისა და სახანძრო უშიშროების წესების დაცვისათვის ქვესაუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

წ) უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვას სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

9. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეტანილი იქნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროში შექმნილია კოლეგია, რომელშიაც შედიან მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი დააწესებს მინისტრის მოადგილეების, სამინისტროს სამმართველოების, განყოფილებებისა და სხვა ქვეგანაყოფების უფროსების პასუხისმგებლობას სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობისათვის.

12. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი კანონების, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს, ინსტრუქციებს და გასცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ შესასრულებლად, და შეამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

13. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად ტარდება, განიხილავს ხორცისა და რძის მრეწველობის განვითარების ძირითად საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, განიხილავს საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების, სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

14. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითადი მიმართულებების. ხორცისა და რძის მრეწველობაში მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკის დადგენის, ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მეცნიერების, ტექნიკის უახლესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და წარმოებაში დანერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვის რეკომენდაციების შემუშავების საკითხებზე შემოსულ წინადადებათა განსახილველად საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიაც შევლენ მეცნიერები, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი.

15. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სტრუქტურას და ცენტრალური აპარატის მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების დებულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი.

სამინისტროს სამმართველოები და განყოფილებები შეიძლება გადაყვანილ იქნან საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მიერ სამეურნეო ანგარიშზე.

16. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და სამინისტროს სახელწოდება.

---

114 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული გამოყენებითი მათემატიკისა და პროგრამირების საპრობლემო სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტად გარდაქმნის შესახებ

ამონაკრები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის 1968 წლის 16 ოქტომბრის № 55 გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გარდაიქმნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული გამოყენებითი მათემატიკისა და პროგრამირების საპრობლემო სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტად დამოუკიდებელი ბალანსით და საპრობლემო ლაბორატორიის ხელმძღვანელ და მეცნიერ მუშაკთა, საინჟინრო-ტექნიკური, ადმინისტრაციულ-სამმართველო და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების პირობების შენარჩუნებით, ხელფასის ფონდისა და ასიგნებათა ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია გეგმებით საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამეცნიერო დაწესებულებებისათვის.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიამ დაამტკიცონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, შეთანხმებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

ქ. თბილისი, 1968 წ. 18 დეკემბერი, № 628.

115 თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის სამმართველოს წესდების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება იმის შესახებ, რომ შეიცვალოს პუნქტი 6 თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის სამმართველოს წესდებისა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 18 აპრილის № 169 დადგენილებით, და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„6. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს შემადგენლობაში შედიან ეკონომიკამოთვლილი დამოუკიდებელი საწარმოები, რომლებიც მოქმედებენ შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ და იყენებენ ამ დებულებას საქართველოს სსრ მინისტრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს 1968 წლის 8 თებერვლის № 66 დადგენილებით დაწესებულ თავისებურებათა გათვალისწინებით:

ა) მეტროპოლიტენის სამმართველო;
ბ) ექსპლუატაციის დისტანცია;
გ) სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანცია;
დ) ელექტროდეპო;
ე) სპეცობიექტების დისტანცია;
ვ) ენერგომომარაგების დისტანცია;
ზ) ესკალატორების დისტანცია;
თ) სანტექნიკის დისტანცია;
ი) ლიანდაგის დისტანცია;
კ) გვირაბების, შენობათა და ნაგებობათა დისტანცია;
ლ) სარემონტო-სამშენებლო კანტორა;
მ) გაერთიანებული სახელოსნოები".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

[redacted]

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 25 დეკემბერი, № 641.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 1968 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/XII 1968 წ. ქაღალდის ზომა 70 × 108, ქაღალდი 14.000 ნაბეჭდი თაბახი 3,5 სააღრიცხვო თაბახი 3,8

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 4000

შეკვეთა 16

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

-3 s.4/196.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ — 761